

# შავი ზღვის ქართული მონაკვეთის ოკეანოგრაფიული მონაცემების შესახებ საბოლოო პროდუქტის შექმნა

*კახაბერ ბილაშვილი<sup>1</sup>, ვახტანგ გვახარია<sup>2</sup>, ნინო მაჩიტაძე<sup>2</sup>, ზურაბ სავანელი<sup>1</sup>, ვაჟა ტრაპაძე<sup>1</sup>*

ელ.ფოსტა: [kakhaber.bilashvili@tsu.ge](mailto:kakhaber.bilashvili@tsu.ge);

*<sup>1</sup>გეოგრაფიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი, ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ი.ჭავჭავაძის პრ. #3, 0179 თბილისი*

*<sup>2</sup>ალექსანდრე ჯანელიძის სახელობის გეოლოგიის ინსტიტუტი, ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ა.პოლიტკოვსკაის #5, 0186 თბილისი*

შავი ზღვის საქართველოს სანაპირო ზონა განსაკუთრებით ღირსშესანიშნავია თავისი ბუნებრივი პირობებისა და ეკონომიკური ფუნქციების გამო. ევროკავშირი–საქართველოს ასოცირების ხელშეკრულების მოთხოვნების შესრულებასთან მიმართებაში მთავარ სახელმძღვანელო დოკუმენტს საზღვაო გარემოსთან დაკავშირებით წარმოადგენს საზღვაო სტრატეგიის ჩარჩო დირექტივა (MSFD), რომელიც ძალაში 2008 წლის 15 ივლისს შევიდა.

წინამდებარე სტატიაში განიხილება საზღვაო სტრატეგიის ჩარჩო დირექტივის (MSFD) მოთხოვნებისა და მიდგომების რეალიზაცია იმ ნაწილში, რომელიც ეხება ამჟამინდელი ოკეანოგრაფიული და ჰიდროლოგიური მონაცემთა ბაზის ინვენტარიზაციის, კლასიფიკაციისა და ვიზუალიზაციის ჩატარებას.

პრაქტიკაში, ეკოსისტემური მიდგომის განხორციელების მთავარ პირობას საზღვაო მონაცემების ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლების მუდმივი გაუმჯობესება წარმოადგენს. ბოლო წლებში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოძიებულ და გადარჩენილ იქნა ოკეანოგრაფიული მონაცემები, შესრულებული იქნა მეტამონაცემების ელექტრონული კატალოგიზაცია და შესაბამისი ფორმატირების შემდეგ ის განთავსებულ იქნა სათანადო ევროპულ ბაზაში, რომელიც უზრუნველყოფს მათ მისაწვდომობას.

არსებულ და მოპოვებულ მონაცემებზე დაყრდნობით, პირველად გეო–ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით, წარმოდგენილი იქნა საზღვაო პარამეტრების სივრცული გავრცელების სურათი. მონაცემთა და ინფორმაციის მოძიება, ვიზუალიზაცია და ანალიზი ჩატარებულ იქნა თანამედროვე მეთოდებისა და პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებით საბოლოო პროდუქტის შესაქმნელად.